ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის №114-11422343246 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

2. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ;

4.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346218 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ;

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346242 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

6.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის N114-1142234372 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346162 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N285-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N20.42.01.153) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ;

8.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 ნოემბრის N114-11422332161 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29,48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ნოემბრის N114-11422311139 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ვ.აბაშიძე");

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N15

ქ.ქობულეთი 27 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 14-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, ჯემალ ბლადაძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, გიორგი გოგიტიძე, თეა მოწყობილი, დავით პაპუნაიშვილი, გელა შაქარიშვილი, იოსებ ჟღენტი, ირაკლი ქათამაძე, ავთანდილ გოგიბერიძე, ზურაბ ხინიკაძე, მამია ჟორდანია, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, ნატო შამილიშვილი,მირზა მახარაძე, ალექსანდრე ხიდაშელი, ედნარ თურმანიძე, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, ია მესხიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: არჩილ ჯაფარიძე, ილონა ანანიძე, გიორგი კარალიძე, ლაშა კომახიძე, ჯეირან წულუკიძე, სოლომონ ბაჯელიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, იამზე ცალქალამანიძე, მერაბ ცინცაბაძე, ლევან მახარაძე, შოთა გოგიტიძე, სოსო ქიზინიძე, დავით ოქროპირიძე.

ესწრებოდნენ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი - ლევან ზოიძე;

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: დავით ვერულიძე;

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: მინდია რომანაძე;

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები: თეონა გეგიძე, ზურაბ ამაღლობელი, ნათია ნიჟარაძე, მალხაზ რომანაძე, გიორგი ბეჟანიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული

ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელ ორგანოს მთავარ ფინანსურ დოკუმენტში წარმოდგენილ პროექტებზე აქტიური შრომისათვის, რომელიც ასახულია მიმდინარე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში. მისი თქმით წარმოდგენილი ბიუჯეტი არის საკმაოდ მზარდი. მან მადლობა გადაუხადა თითოეულ საკრებულოს წევრს იმ ჩართულობისთვის და მუშაობისთვის, რომელიც მიმდინარეობდა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს. მოხდა მოსახლეობის მოთხოვნების ასახვა და საჭიროებების გათვალისწინება მაქსიმალურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

საკრებულოს თავმჯდომარემ გააცნო დეპუტატებს წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა, საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის №114-11422343246 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ზოიძე)

2. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: თედო ტაკიძე)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346218 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346242 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ;

(მომხსენებელი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული

სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი თეონა გეგიძე)

6.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის N114-1142234372 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346162 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N285-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.N20.42.01.153) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

8.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 ნოემბრის N114-11422332161 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29,48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ნოემბრის N114-11422311139 მომართვა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ვ.აბაშიძე“);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის №114-11422343246 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ - მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ზოიძემ, მისი თქმით შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოხდა შენიშვნების და საჭიროებების გათვალისწინება, რაც იყო გადმოგზავნილი მუნიციპალიტეტის საკრებულოდან. დარჩენილი საკითხების გათვალისწინება ეტაპობრივად მოხდება ბიუჯეტის ცვლილებების დროს.

მომხსენებელმა დეტალურად ცხრილის სახით წარმოდგინა, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი. მისი ინფორმაციით დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის (მუხლი24 და მუხლი91) შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" 77-ე მუხლის შესაბამისად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის

მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 და მე-6[1] პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 27 992,6 ათას ლარს შეადგენს.

<u>2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:</u>

- ***დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 22 892 ,6 ათასი ლარით;***

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით **დღგ** გაზრდილია 35,2%-ით (5 956,4 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი საპროგნოზო ოდენობის ზრდის დინამიკით და **(როგორც ცნობილია 2022 წლის მეორე ნახევრისთვის აღნიშნულ სახეში საპროგნოზო ოდენობა თავდაპირველ მაჩვენებელთან მიმართებაში გაიზარდა 1 823,8 ათასი ლარით)** მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- ***ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 5100,0 ათას ლარს;***

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის ბიუჯეტით თავდაპირველი საპროგნოზო ოდენობა ქონების გადასახადის სახეში 24,4%-ითაა ზრდადია (იზრდება 1 000,0 ათასი ლარით).

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გრანტებისა და სხვა შემოსავლების გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **ბიუჯეტის გრანტები** ჯამურად განისაზღვრება 20 000,0 ათასი ლარით. მათ შორის:

✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი **5 317,0** ათასი ლარი;
✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი **14 683,0** ათასი ლარი;

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ჯამურად გრანტები 5,3%-ით (1 000,0 ათასი ლარით) ზრდაშია.

- **სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 4 045 ,0 ათასი ლარის ოდენობით;**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2023 წლის საპროგნოზო მაჩვენებლები 25,6%-ით (825,4 ათასი ლარით) იზრდება.

მათ შორის:

- ✓ **პროცენტები 300,0 ათასი ლარი.**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 89,0 ათასი ლარით იზრდება. (42,2%)

- ✓ **რენტა 510,0 ათასი ლარი; (2,5%-იან ზრდაშია)**

- ✓ **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 585,0 ათასი ლარის ოდენობით, (28,5%-იან ზრდაშია) მათ შორის:**

- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 200,0 ათასი ლარი;

- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 300,0 ათასი ლარი;

- ✓ არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 85,0 ათასი ლარი;

- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 350,0 ათასი ლარი;

- ✓ **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2 300,0 ათასი ლარის** ოდენობით (წინა წლების ფაქტიური შემოსულობების გათვალისწინებით 21%-იან ზრდაშია).

<u>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები</u>

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 54 326,7 ათას ლარს (2022 წლის შესაბამისი სასტარტო პერიოდის დამტკიცებულ გადასახდელებთან მიმართებაში ზრდადია 9 180,9 ათასი ლარით) (ზრდა 20,3%)

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მუნიციპალიტეტში: 1) პროგრამული ბიუჯეტის სხვადასხვა სფეროებში ადგილობრივი მნიშვნელობის პრიორიტეტული პროგრამების, მიმდინარე და კაპიტალური შინაარსიის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსებებისათვის განკუთვნილი ასიგნებების ზრდით. 2) მუნიციპალიტეტის ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დასაქმებულ თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ზრდით. 3) როგორც მერიაში, ასევე საკრებულოში 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად საჯარო მოხელეთა და პოლიტიკურ თანამდებობათა პირების საბაზო თანამდებობრივი სარგოს (10%) ზრდიდან და 2022 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელფასო შკალის ცვლილებიდან გამომდინარე.

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია ხარჯები შემდეგი **პრიორიტეტების მიხედვით :**

- ➢ **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 20 814,4 ათასი ლარი;**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 2 704,4 ათასი ლარით და რაც 14,9%-იანი ზრდის შესაბამისია.

- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 8 140,5 ათასი ლარი;**

- ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, განხორციელდება საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე

ჰორიზონტალური მონიშვნისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა, აგრეთვე 2023 წელშიც გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. როგორც წინა წლებში, ასევე მომავალი წლისათვის გაზრდილი ბიუჯეტური ხარჯებით დაგეგმილია მდინარეების შესართავთან ტერიტორიის მოსაწესრიგებლად სამუშაოები, ანუ იქნება გასწორხაზოვნებული მდინარეებს კალაპოტი. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება და გაფართოებული გარე განათების ქსელი კვლავ არის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი, რისთვისაც გათვალისწინებულია გარე განათების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) წერტილების (8183 სანათი წერტილი) მოვლა-ექსპლუატაცია და მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის დაფარვა; დაგეგმილია დამატებით ახალი ქუჩების განათების სამუშაოები და ელ. ენერგიის ქსელში ჩართვა. სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისათვის, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესებით მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის მიზნით კვლავ გაგრძელდება ფერდსამაგრი სამუშოების ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ქალაქ ქობულეთში გზებზე ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება - 80,3 ათასი ლარი;
- საგზაო მონიშვნები - 112,9 ათასი ლარი;
- ვიდეოკამერების შეძენა/მონტაჟი - 332,9 ათასი ლარი;
- ვიდეოკამერების ექსპლოატაცია - 121,2 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა - 2 616,5 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობა - 20,0 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება - 299,6 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა - 850,0 ათასი ლარი;
  - გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1 145,0 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა- 362,1 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების-სამუშაოები - 2 200,0 ათასი ლარი;

✓ **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 8 189,9 ათასი ლარი;**

მოწესრიგდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება ჯამურად 11 194 კვ.მ ფართობი ეზო/სკვერი, გადაიხურება 12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. მომავალი წლისათვის კვლავ გაგრძელდება წყლის დებეტის გაზრდის მიზნით სოფლებში ღონისძიებები, წყალსადენის სისტემებზე მოეწყობა ჭაბურღილები (2 ერთეული), წყლის ტუმბოების შეძენა (19 ერთეული) .

განხორციელდება შემდეგი პროექტები:

➢ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები - 3 379,7 ათასი ლარი;**

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა - 794,5 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (რუსთაველის ქუჩა №156, კომახიძის ქუჩა №13 და რუსთაველის ქუჩა №105) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა - 452,0 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №164ა-ს და №166ა-ს შორის მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა - 261,8 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქ. №162ე-ს და №162ჟ-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა - 399,1 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №136 ა №138 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა - 522,5 ათასი ლარი;
- დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩა №1 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა - 147,3 ათასი ლარი;
- დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა №6-8-10-12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა - 264,8 ათასი ლარი;
- სოფ. კვირიკეში ჩაის ფაბრიკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა - 537,7 ათასი ლარი;

➢ **წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია** - 3 537,2 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ობიექტების რეაბილიტაცია:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში (კონცხა) ჭაბურღილების მოწყობა (№1, №2) - 646,6 ათასი ლარი;
- ქობულეთის წყლის სათავე ნაგებობების, წყალანირების სატუმბი სადგურებისა და გამწმენდი ნაგებობებისათვის წყლის ტუმბოების შეძენა (19 ერთეული) -- 390,0 ათასი ლარი;
- შპს "ქობულეთის წყალი" - 850,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი " - 1 650,6 ათასი ლარი;

➢ **სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა** - 213,0 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

- დაბა ჩაქვში, ბათუმის ქუჩა №18-ში და სოფელ ციხისძირში მე-20 ქუჩა (საცხოვრებელი სახლი 1 და საცხოვრებელი სახლი 2) ცენტრალური შამბოს (სეპტიკის) მოწყობა – 213,0 ათასი ლარი;

➢ **უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი** - 15,0 ათასი ლარი;

➢ **შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური** - 45,0 ათასი ლარი;

➢ **სპეც-ტექნიკისა (დასუფთავების 3 ერთეული) და მუნიციპალური ავტობუსების შეძენა (ავტობუსი 7 ერთეული) - 1 000,0 ათასი ლარი**

➢ **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები - 4 484,0 ათასი ლარი;**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია - 1 400,0 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №520-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა - 1 009,7 ათასი ლარი;
- დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩის მე-4 შესახვევი სკვერის მოწყობა - 156,4 ათასი ლარი;

- ქ. ქობულეთში, სანაპირო ზოლზე გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობა (10 ერთეული) - 178,8 ათასი ლარი;
- ქ. ქობულეთში, სანაირო ზოლზე ხის ტრანსფორმირებადი ბილიკის მოწყობა - 36,3 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია (სოფელი აჭი; სოფელი გორგაძეები; სოფელი ქვედა კვირიკე; სოფელი ზედა კვირიკე; დაბა ჩაქვი; ჩოლოქის დასახლება) - 98,7 ათასი ლარი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში ოთახებისა და დერეფნების რეაბილიტაცია - 211,5 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციული შენობის (ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალის", ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების" და შპს ,,ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის" მშენებლობა - 935,0 ათასი ლარი;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა - 300 ,0 ათასი ლარი.
- აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი - 6,0 ათასი ლარი
- ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის ძეგლების მოწყობის სამუშაოები - 151,5 ათასი ლარი;

➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 5 723,7 თასი ლარი;**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1 074,9 ათასი ლარით და რაც 23% იანი ზრდის შესაბამისია. **მათ შორის:**

✓ **მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები - 4 481,2 ათასი ლარი მათ შორის:**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა,სანაგვე კონტეინერების შეძენა, ქუჩის მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

✓ დასუფთავების ღონისძიებები - 70,0 ათასი ლარი;

✓ ა(ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება" - 4 161,2 ათასი ლარი;

✓ სანაგვე კონტეინერების შეძენა (300 ერთეული) - 250,0 ათასი ლარი;

➢ **გარემოს დაცვა- 1 242,5 ათასი ლარი მათ შორის:**

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

✓ ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება" - 722,8 ათასი ლარი;

✓ ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი" - 5 19,7 ათასი ლარი;

➢ **განათლების ხელშეწყობა - 9 510,8 ათასი ლარი, მათ შორის:**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1 120,7 ათასი ლარით ნაკლები, რაც 10,5%-იანი კლების შესაბამისია.

ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება" - 7 314,7 ათასი ლარი; (გასული წლის შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან მიმართებაში ზრდადია 1358,4 ათასი ლარით) (23%).

საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა - 2 196,1 ათასი ლარი კერძოდ;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 647,0 ათასი ლარი;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 627,2 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები (8 ბაღი). ქ. ქობულეთში ფიჭვნარის საბავშვო ბაღი, ქ. ქობულეთში, №2, №3, №4, №5, №6 საბავშვო ბაღი, სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი და სოფელ ქაქუთის საბავშვო ბაღი -- 299,4 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებელობა - 622,5 ათასი ლარი;

➢ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები- 4 851,3 ათასი ლარი მათ შორის:**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით აღნიშნული სფერო გაზრდილია 2 320,0 ათასი ლარით .

✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 823,1 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სფეროს სხვადასხვა აქტივობები: სხვადასხვა სახეობებში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

- ა(ა)იპ ,,ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა" - 507,1 ათასი ლარი;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსება - 70,0 ათასი ლარი;
- სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა - 246,0 ათასი ლარი;

✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 4 028,1 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერას, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. ინფარსტრუქტურული კუთხით დაგეგმილია რეაბილიტაცია ჩაუტარდეს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის შენობას.

- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლების" - 730,2 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ "ქობულეთის კულტურის ცენტრი" - 899,6 ათასი ლარი;
- ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება - 30,0 ათასი ლარი;
- გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ "ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მხედრულის"' - 573,8 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 190,0 ათასი ლარი;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 232,5 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ "ქობულეთის მუზეუმი" - 274,7 ათასი ლარი;
- წარმატებულ სტუდენტთა წახალისება - 184,0 ათასი ლარი;
- ქალაქ ქობულეთში კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 913,3 ათასი ლარი;

➢ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 5 538,7 ათასი ლარი. მათ შორის:**

2022 წლის შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 2645,8 ათასი ლარით და რაც 91% იანი ზრდის შესაბამისია.

✓ **ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები- 2183,8 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობასა და მოსახლეობის სოციალური დაცვას. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას.

კერძოდ გათვალისწინებულია ჯანდაცვის სფეროს შემდეგი პროგრამები:

- **იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 13,0 ათასი ლარი; (ზრდა 4,0 ათასი ლარით)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებულ 3 პირზე თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ 2 ბენეფიციარს თითოეულს 2000 ლარის ოდენობით და გლუტეინის ავადმყოფობით და ცელიაკიით დაავადებულ 4 ბენეფიციარს თითოეულს 500 ლარის ოდენობით.

- **თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის დახმარებვის პროგრამა - 93,6 ათასი ლარი; (ზრდა 4,8 ათასი ლარით)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთი მობილური გუნდის დაფინანსებას თვის განმავლობაში 50 პაციენტის ადგილზე მომსახურებით. გუნდის მუშაობა ითვალისწინებს ბინაზე ვიზიტსა და მედიკამენტოზურ მკურნალობას საქართველოში რეგისტრირებული, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული და ნეიროლეფსიური საშუალებებით, რომელსაც გამოიყენებს მობილური გუნდის ფსიქიატრი, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შესაბამისად.

- **სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამა- 480,0 ათასი ლარი; (ზრდა 180,0 ათასი ლარით)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი სოციალური კატეგორიის ბენეფიციარებისათვის იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც ნაწილობრივ ან /არ ფინანსდება მოქმედი სახელმწიფო ან/და აჭარის არ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამებით.

- **ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი" - 897,2 ათასი ლარი; (ზრდა 345,8 ათასი ლარით)**

ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობას,კერძოდ: ამბულატორიის მედპერსონალის უზრუნველყოფა სატრანსპორტო საშუალებით - მაღალი გამავლობის ავტომანქანით;

2. ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებას: მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზებასა და პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფას .

3. მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერას:

ა) 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა და ასევე 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მხცოვანი (80 წლის და მეტი) მწოლიარე ბენეფიციარების უზრუნველყოფას მოვლის საშუალებებით;

ბ) მგრძნობელობის დაქვეითების მქონე მძიმე და ღრმა შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას; კერძოდ, ნაწოლებისაგან დამცავი ბალიშით, რომელიც „ტეტრაპარეზი"-ს, მგრძნობელობის დაქვეითების მქონე შშმ პირებს დაიცავს ნაწოლების გაჩენისაგან.

გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებში - 0-დან 150 000-ს ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე - შვილის დაბადებისას, ბავშვის უზრუნველყოფას ერთი წლის ასაკამდე მოვლის საშუალებებით ან/და ბავშვთა კვებით.

- **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა -700,0 ათასი ლარი;(ზრდა 60,0 ათასი ლარით)**

მომსახურეობა გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ: 1) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; 2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; ომის ვეტერანებს; ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; 3) მარტოხელა მშობლებს და მათ შვილებს და მარტოხელა ასაკით პენსიონერებს. აღნიშნული ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას მედიკამენტების ვაუჩერის სახით.

- **სოციალური დაცვის ღონისძიებები - 3355,0 ათასი ლარი;**

- **ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების პროგრამა - 21,5 ათასი ლარი; (ზრდა 6,8 ათასი ლარი);**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას.

- **დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 8,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლი ბავშვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმამარებას თვეში 100 ლარის ოდენობით.

- **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა - 850,0 ათასი ლარი; (ზრდა 350,0 ათასი ლარით);**

ქვპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებითი უსაფრთხო თავშესაფარით უზრუნველყოფის მიზნით ფინანსურ დახმარებას.

- **მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა - 325,0 ათასი ლარი; (ზრდა 75,0 ათასი ლარით);**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის (სოციალურად დაუცველი ფენის - სარეიტინგო ქულა 0-დან 100 001-მდე, მარტოხელა პენსიონერი, დედ-მამითობოლი ბავშვი, უსახლკარო, შშმ პირი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი) ბენეფიციარის უზრუნველყოფას კვირაში 7 დღე ცხელი საკვებით. 2022 წელთან შედარებით, პროგრამის ბენეფიციართა რიცხვი გაიზარდა 50-ით. 2023 წელს ქვეპროგრამაში ჩართული იქნება 370 ბენეფიციარი.

- **ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირების პროგრამა- 30,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სოციალური ჯგუფების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით. 2022 წლისთვის ბენეფიციართა წრე გაფართოვდა, ქვეპროგრამით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახები, 0-დან 200 001 ქულამდე ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახები და ასევე 0-დან 200 001 ქულამდე შშმ პირების ოჯახები.

- **მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 50,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებას, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 000 ქულის ჩათვლით დარეგისტრირებული ოჯახებზე მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 600 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 800 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 1 000 ლარის ოდენობით.

- **მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა - 55,5 ათასი ლარი; (ზრდა 19,5 ათასი ლარით);**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 200 001-მდე ქულის მქონე მარტოხელა მშობლების მატერიალურ დახმარებას თითოეულ ბავშვზე (სავარაუდოდ 50 ბენეფიციარი) თვეში 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ელემენტარული სახსრები რაც ესაჭიროებათ ბავშვების ზრდისა და განვითარების მიზნით.

- **გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 40,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ პირთა (სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 100 001 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე) გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერტჯერადად დახმარებას 400 ლარის ოდენობით.

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 65,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას, 35 ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით.
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 4 მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები), რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან **100001-მდე** სარეიტინგო ქულით ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას (60 ოჯახზე) 500 ლარის ოდენობით.

- **დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარების პროგრამა - 130,0 ათასი ლარი;(ზრდა 20,0 ათასი ლარით)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას **80** ლარით, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ მდებარე დიალიზის ცენტრებამდე **150** ლარით;

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 0-დან 200 001- მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

- **მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის პროგრამა - 780,000 ათასი ლარი; (ზრდა 580,0 ათასი ლარით).**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის, რომელთა საცხოვრებელი სახლი ამორტიზირებულია, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას, მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას. (გათვალისწინებულია 12 სახლი.)

- **ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა - 1 000 000 ლარი.**

➢ **მმართველობა - 7617,9 ათასი ლარი, მათ შორის:**

✓ მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1 315,6 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის მერია - 4794,1 ათასი ლარი;

✓ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური - 246,9 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 330,0 ათასი ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურეობა და დაფარვა 1 148,2 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 960,2 ათასი ლარი და პროცენტი - 187,9 ათასი ლარი;

✓ დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი - 30,0 ათასი ლარი;

✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 3,0 ათასი ლარი;

✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა 20, 0 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	**54 326 700**
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	**1 315 617**
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	**4 794 095**
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	**246 947**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	**330 000**
01 02 02 01	ქობულეთის წყალარინების პროექტი	**935 672**
01 02 02 03	"საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, მუნიციპალიტეტისათვის 1 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის გადაცემა.	**50 106**
01 02 02 04	ქალაქ ქობულეთის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი ნაგებობის რეაბილიტაცია	**162 372**
01 02 03	დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯი	**30 000**
01 02 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	**3 000**
01 02 05	ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	**20 000**
02 01 01 02	ქ. ქობულეთში გზებზე ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება	**80 295**
02 01 01 07	საგზაო მონიშვნები	**112 903**
02 01 01 09	ვიდეო კამერების შეძენა-მონტაჟი	**332 928**
02 01 01 10	ვიდეოკამერების ექსპლოატაცია	**121 176**
02 01 01 11	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა	**2 616 456**

02 01 01 12	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერისა და საგზაო ნიშნების მოწყობა	**20 000**
02 01 03	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნება	**299 615**
02 01 04	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობა	**850 000**
02 01 05 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	**1 145 000**
02 01 05 02	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობა	362 100
02 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების- სამუშაოები	2 200 000
02 02 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა	794 500
02 02 01 13	ქალაქ ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (რუსთაველის ქუჩა №156, კომახიძის ქუჩა №13 და რუსთაველის ქუჩა №105) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა	**452 009**
02 02 01 14	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №164ა-ს და №166ა-ს შორის მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა	**261 797**
02 02 01 15	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქ. №162ე-ს და №162ჟ-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერების კეთილმოწყობა	**399 153**
02 02 01 16	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №136 ა №138 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა	522 459
02 02 01 17	დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩა №1 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა	147 313
02 02 01 18	დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის ქუჩა №6-8-10-12 მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა	**264 809**
02 02 01 19	სოფ. კვირიკეში ჩაის ფაბრიკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს/სკვერის კეთილმოწყობა	**537 654**
02 02 02 01 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში (კონცხა) ჭაბურღილების მოწყობა (№1, №2)	**646 608**
02 02 02 01 07	ქობულეთის წყლის სათავე ნაგებობების, წყალანირების სატუმბი სადგურებისა და გამწმენდი ნაგებობებისათვის წყლის	390 000

	ტუმბოების შეძენა (19 ერთეული)	
02 02 02 02	შპს "ქობულეთის წყალი"	850 000
02 02 02 03	ა(ა)იპ "ქობულეთის სოფლის წყალი "	1 650 590
02 02 03 05	დაბა ჩაქვში, ბათუმის ქუჩა №18-ში და სოფელ ციხისძირში მე-20 ქუჩა (საცხოვრებელი სახლი 1 და საცხოვრებელი სახლი 2) ცენტრალური შამბოს (სეპტიკის) მოწყობა	212 975
02 02 04	უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი	15 000
02 02 05	შპს ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური	45 000
02 02 06	სპეც-ტექნიკისა (დასუფთავების 3ერთეული) და მუნიციპალური ავტობუსების შეძენა (ავტობუსი 7ერთეული)	1 000 000
02 03 01 11	ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია	1 400 000
02 03 01 12	ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი №520-ის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობა	1 009 746
02 03 01 13	დაბა ჩაქვში, აღმაშენებლის ქუჩის მე-4 შესახვევი სკვერის მოწყობა	156 406
02 03 01 14	ქ. ქობულეთში სანაპირო ზოლზე გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობა (10 ერთეული)	178 802
02 03 01 15	ქ. ქობულეთში სანაირო ზოლზე ხის ტრანსფორმირებადი ბილიკის მოწყობა	36 313
02 03 02 01	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო პუნქტების მოწყობა/რეაბილიტაცია (სოფელი აჭი; სოფელი გორგაძეები; სოფელი ქვედა კვირიკე; სოფელი ზედა კვირიკე; დაბა ჩაქვი; ჩოლოქის დასახლება)	98 726
02 03 02 04	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობაში ოთახებისა და დერეფნების რეაბილიტაცია	211 545
02 03 02 05	ადმინისტრაციული შენობის (ა(ა)იპ ,,ქობულეთის სოფლის წყალის", ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების" და შპს,,ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის) მშენებლობა	935 000
02 03 04	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	300 000
02 03 05	აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი	6 000
02 03 16	ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის და შოთა რუსთაველის ძეგლების მოწყობის სამუშაოები	151 501
03 01 01	დასუფთავების ღონისძიებები	70 000
03 01 02	ა(ა)იპ ,,ქობულეთის სანდასუფთავება“	4 161 184
03 01 03	სანაგვე კონტეინერების შეძენა (300 ერთეული)	250 000

03 01 07	სპეც-ტექნიკის შეძენა (სანდასუფთავებისათვის)	**1 000 000**
03 02 01	ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება“'	**722 810**
03 02 02	ა(ა)იპ ,,ქობულეთის პარკი“	**519 700**
04 01 01	ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“	7 314 740
04 01 02 01	ქალაქ ქობულეთში №1 საბავშვო ბაღის მშენებელობა	622 500
04 01 02 06	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარაში საბავშვო ბაღის მშენებლობა	647 000
04 01 02 07	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა	627 165
04 01 02 08	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები (8 ბაღი). ქ. ქობულეთში ფიჭვნარის საბავშვო ბაღი, ქ. ქობულეთში, №2, №3, №4, №5, №6 საბავშვო ბაღი, სოფელ აჭყვისთავის საბავშვო ბაღი და სოფელ ქაქუთის საბავშვო ბაღი	299 421
05 01 01	ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა	**507 100**
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	**70 000**
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა	**246 010**
05 02 01	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება "ქობულეთის სახელოვნებო სკოლა"	**730 200**
05 02 02	ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი	**899 620**
05 02 03	ახალგაზრდების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების პროექტების დაფინანსება	**30 000**
05 02 04	გურამ თამაზაშვილის სახელობის (ა)იპ ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული"'	**573 800**
05 02 05	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	**190 000**
05 02 06	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	**232 500**
05 02 07	ა(ა)იპ ,,ქობულეთის მუზეუმი“	**274 752**
05 02 08	წარმატებულ სტუდენტთა წახალისება	**184 000**
05 02 10	ქალაქ ქობულეთში კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	913 275
06 01 01	იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარება	**13 000**
06 01 02	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის	**93 600**

06 01 04	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	**480 000**
06 01 05	ა(ა)იპ "ქობულეთის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრი	**897 155**
06 01 07	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	**700 000**
06 02 02	ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	**21 480**
06 02 03	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება	**8 000**
06 02 05	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	**850 000**
06 02 07	მუნიციპალური უფასო სასადილო	**325 000**
06 02 10	ცალკეული სოციალური კატეგორიის ოჯახების გაზიფიცირება	**30 000**
06 02 11	მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	**50 000**
06 02 12	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარება	**55 500**
06 02 13	გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება	**40 000**
06 02 14	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	**65 000**
06 02 15	დიალიზის ცენტრის პაციენტების და ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/ რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციართა მატერიალური დახმარება	**130 000**
06 02 16	მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა	**780 000**
06 02 17	ქ. ქობულეთში, პოპოვის ქუჩა N-12 მრავალბინიანი სოციალური სახლების მშენებლობა	**1 000 000**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთოდანიშნულებისსახელმწიფომომსახურება - 7640,9 ათასი ლარი;*
- *თავდაცვა - 246 , 9 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკურისაქმიანობა - 6 633,4 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 4694,1 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალურიმეურნეობა - 14 690,8 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობისდაცვა - 2183,8 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურადარელიგია - 4 133,6 ათასი ლარი;*
- *განათლება - 10 748,1 ათასი ლარი;*

➢ *სოციალური დაცვა - 3355,1 ათასი ლარი;*

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაცია 2022 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) წლიური ბიუჯეტის პროექტი ასახავს ქვეყანაში არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი.

სიტყვით გამოსვლა ითხოვა საკრებულოს წევრმა ლია შაქარიშვილმა, მან განცხადება შეფასებით დაიწყო, მისი თქმით მისასალმებელია ბიუჯეტის ზრდადობა განსაკუთრებით სოციალური პროგრამებით, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრული პროექტების მიმართულებით დაფინანსების გაორმაგება, ერთადერთი რეკომენდაცია რაც კომისიას აქვს კარგი იქნება დამუშავდეს დებულება აღნიშნული კონკურსისთვის, და გაიწეროს კონკრეტული კრიტერიუმები, ვინც მიიღებს მონაწილეობას ჰქონდეს ობიექტურობის განცდა. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ბიუჯეტში, ქობულეთელი პოეტის ამირან ხაბაზის საიუბილეო 70 თარიღისადმი წლისადმი ღონისძიების გათვალისწინებისთვის, რაც შემოქმედის ცხოვრებაში არის მნიშვნელოვანი. მან ხაზი გაუსვა ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედებას, რომელიც მოხდა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, სადაც გაერო არის დონორი ორგანიზაცია, რომლის მხარდაჭერით გაორმაგდა თანხა რაც მისასალმებელი. პირველივე ეტაპზე გვაჩვენა პროგრამამ კარგი დინამიკა და სასურველი იქნება გავზარდოთ ბიუჯეტი ამ მიმართულებითაც. მუნიციპალიტეტის ყველა პროგრამა არის მნიშვნელოვანი. მისი თქმით გენდერული საბჭოს წევრებთან ერთად იყო მსჯელობა ძალადობის მსხვერპლთათვის ბინის ქირით უზრუნველყობის პროგრამის შექმნის აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა არის მუნიციპალიტეტის მხრიდან მზადყოფნა სარეზერვო ფონდის საშუალებით მხარდაჭერის თუმცა, გაცილებით უკეთესი იქნება თუკი კონკრეტული პროგრამა იარსებებს. სასურველია მიმდინარე ბიუჯეტის ცვლილების დროს მოხდეს გათვალისწინება, მსგავსი პროგრამა ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას. ასევე რეკომენდირებული იყო გენდერული საბჭოს გეგმისთვის ფინანსური ასიგნების გამოყოფა, რომელსაც წინ უძღვოდა საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოს ხელმძღვანელის ნინო წილოსანის და ფინანსთა სამინისტროს წერილი. რამდენიმე მუნიციპალიტეტმა ისარგებლა აღნიშნული წინადადებით და კონკრეტული მუხლი გაჩნდა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უკვე გენდერული საბჭოებისთვის იმისათვის, რომ საქმიანობა განახორციელონ უნდა იყოს მუხლობრივად გაწერილი. პირველივე ცვლილებისთვის სასურველია აღნიშნული კომპონენტის

გათვალისწინება. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

ლევან ზოიძის თქმით შემოსულობების შემდგომ დავგეგმეთ ერთობლივი მუშაობით ყველა ღონისძიებას.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე გიორგი გოგიტიძემ გააკეთა განცხადება, მისი თქმით დეტალურად მოხდა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებზე და ფრაქციის სხდომაზე მიმდინარე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკმაოდ ნაყოფიერად. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს ჩართულობისთვის და თანამშრომლობისთვის. შეძლებისდაგვარად მოხდა ყველა რეკომენდაციის და შენიშვნის გათვალისწინება. ერთიანობით და გუნდურობით ყველა საქმე იქნება გადაწყვეტილი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს წევრ გურამ აბაშიძის შეფასებით წარმოდგენილი ბიუჯეტი არის საკმაოდ მზარდი რაც მისასალმებელია, მისი თქმით სასტარტო ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სოფელ საჩინოში, ხალაში და ჩაისუბანში გარე განათებების მოწყობა. თუმცა მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იყო მზაობა ბიუჯეტის ცვლილების დროს იქნებოდა შეთანხმება მიღწეული. მან ყურადღება გაამახვილა სოფელ ხალაში ჯამესთან მიმდებარედ არსებულ სასაფლაოს შემოღობვაზე, მისი თქმით ხალა ჩაქვისთავის გზა საკმაოდ დატვირთულია ტურისტული თვალსაზრისით და მოაჯირი არის სავალალო მდგომარეობაში, რომელიც საჭიროებს შეკეთებას. ასევე მე-7 საბავშვო ბაღის აუცილებლობაზე გაუსვა ხაზი, აქვე აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტში სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო სამუშაოებებისთვის საკმაოდ მნიშვენლოვანია თანხის გათვალისწინება, რაც ძირითადად მიმართულ იქნება ფერდსამაგრი სამუშოებისათვის აუცილებელია ჩაქვის ტერიტორიაზეც თანხის გათვალისწინება, მან აუცილებლად მიიჩნია დაბა ჩაქვში პლაჟებზე გასახდელი საშხაპეების გათვალისწინება ბიუჯეტის მიმდინარე პროცესში, რადგან დაბა ჩაქვში არის ძალიან მოკლე მონაკვეთი და არ არის საშხაპე და გასახდელი.

მომხსენებლის ლევან ზოიძის განმარტებით - განათებების საკითხს, რაც შეეხება დაწყებული სამუშაოების დასრულება მოხდება, მისი თქმით პირველი ეტაპისთვის დაგეგმილია 12 მიმართულება, სადაც გათვალისწინებულია 300 000 ლარი. შემდგომ იგეგმება დაბა ჩაქვის მხარეს. ბიუჯეტის ცვლილების დროს მოხდება ეტაპობრივად აღნიშნული ტერიტორიების გათვალისწინება. სასაფლაოს შემოღობვას, რაც შეეხება კაპიტალური ხარჯით ვერ მოვახდენთ გათვალისწინებას, ეტაპობრივად მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდება. მე-7 რაიონში საბავშვო ბაღთან დაკავშირებით განმარტა, რომ პირველი ეტაპზე დასრულდება დაწყებული საბავშვო ბაღების მშენებლობა, პროექტი შეძენილია და გარდამავალით პროექტით დაწყება სამუშაოები.ხოლო პლაჟებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ტურისტულად გათვლილ ლოკაციებზე მოხდება განთავსება.

ეკა კოჭლამაზაშვილი - ძირითად პრობლემად დაასახელა ქობულეთის ტერიტორიაზე საშხაპეების არასაკმარისი რაოდენობა.

ლევან ზოიძე - გასულ წელს მოხდა 15 საშხაპეს შეძენა, რომელიც განთავსებულია სხვადასხვა ლოკაციაზე. პირველ ეტაპზე მოხდება ბიუჯეტში გათვალისწინებული საშხაპეების შეძენა, შემდგომ კი დაზიანებულის რეაბილიტაცია.

გიზო ხალვაში - დაინტერესდა ხალას საბავშო ბაღთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობაა? მისი თქმით აუცილებელია დაბა ჩაქვში შიდა სასოფლო გზების დასხმების გათვალისწინება ეკონომიების ხარჯზე.

ლევან ზოიძის განმარტებით მე-7 რაიონში ხარისხიანად შესრულებულია შიდა სამუშაოები საბავშვო ბაღში, დარჩენილია ფასადი და ეზო, რაც შეეხება დასხმებს გადაწყვეტილება მიღებულია, რომ თებერვლამდე მიცემულია ვადა აღნიშნულ კომპანიაზე, რომ მოახდინოს დასხმები, რაც დარჩება ბეტონირება მოხდება მარტში ბიუჯეტის ცვლილების დროს.

თედო ტაკიძე - სოფელ მუხაესტატეში ჩაის ფაბრიკის დასახლებაში მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობის პროექტის შეძენაზე და სოციალურად გარდაცვლილი ოჯახებისათვის 400 ლარის ნაცვლად 500 ლარის ოდენობით გაზრდაზე გაამახვილა ყურადღება, მისი თქმით აუცილებელია ბიუჯეტის ცვლილების დროს მოხდეს გათვალისწინება.

ლევან ზოიძე - შეძენილია სოფლის ცენტრების პროექტები, დარჩენილია ნაწილი და ეტაპობრივად დავიწყებთ სამუშაოებს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 1 (ია მესხიძე)

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N28

(დადგენილება თან ერთვის)

2. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თედო ტაკიძემ, რომელმაც განმარტა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 20-ე მუხლის შესაბამისად მოახდინა ინიცირება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია 2023 წლის 01 იანვრიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომრის სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიურ ანაზღაურებად განესაზღვროს 744 (შვიდას ორმოცდაოთხი) ლარი, რაც არის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს 15%-ი და რაც გამოწვეულია საჯარო მოხელეთა და პოლიტიკურ თანამდებობათა პირების საბაზო თანამდებობრივი სარგოს 10 %-იანი ზრდიდან.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N29

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიას დაეწერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მომართვა - „მთავრობის დადგენილების საფუძველზე გათვალისწინებული სახელფასო მატებასთან დაკავშირებით საკრებულოს საშტატო ნუსხის 2023 წლის პირველი იანვრიდან დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“. 2023 წლის წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტით მთავრობის დადგენილების საფუძველზე გათვალისწინებულია ხელფასების ზრდა ათი პროცენტით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N30

(დადგენილება თან ერთვის)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346218 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა თეონა გეგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2023 წლის წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტით მთავრობის დადგენილების საფუძველზე გათვალისწინებულია ხელფასების ზრდა ათი პროცენტით. მომხსენებლის ინფორმაციით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს დაემატა სამი ერთეული პირველადი სტრუქტურული ერთეულში არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურში.

მისი თქმით არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მოხსენებითი ბარათით მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნულ ერთეულებში გათვალისწინებულ იქნეს, როგორც პროფესიული საჯარო მოხელეები, ვინაიდან საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მათი განათლების და გამოცდილების მოთხოვნის წამოყენება. ასევე მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ

მოთხოვნილ იქნა ერთი საშტატო ერთეული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას და მოსაკრებლის ადმინისტრირებაზე კონტროლის მიზნით 1 საშტატო ერთეულის დამატება. ასევე მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნა ასევე - ინფრასტრუქტურის სამსახურის უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების მიზნით 2 საშტატო ერთეულის დამატება.

მერის მიერ მიზშეწონილად ჩაითვალა სამსახურების წინაშე არსებული ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, განხორციელდეს საშტატო ნუსხაში ცვლილება და აისახოს მოთხოვნილი საშტატო ერთეულები, შესაბამისად წარმოგიდგენთ ახალ თანამდებობრის სარგოს და საშტატო ნუსხის დადგენილეების პროექტს რისთვისაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N31

(დადგენილება თან ერთვის)

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346242 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა თეონა გეგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახური შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ სჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილი შეზღვიდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვასაკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს კანონის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 25-ე მუხლის მე-2პუნქტის შესაბამისად შრომითი ხელშეკრებულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმ საჯარო დაწესებულებაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% ერთეულზე ნაკლებია, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია ვინაიდან, დღეის მდგომარეობით ქობულეთისმუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 19 ერთეულს შეადგენს და 5 ერთეულზე მეტია შესაბამისად საჭიროებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეთანხმებას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა შემცირდეს 1 ერთეულით, სულ 18 ერთეულის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N79

(განკარგულება თან ერთვის)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 დეკემბრის N114-1142234372 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ კიდევ ერთხელ შედის ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ ქობულეთის განაშენების დეტალური გეგმის დადგენილებაში. კერძოდ საკითხი ეხება მეგობრობის ქუჩაზე შპს „გროსმან გრუპი"-ს მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ცვლილებას. პროექტი ჯერ არ შესულა ძალაში, ანუ მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა და ეხლა გეგმავს იგივე კომპანია, რომელმაც გამოისყიდა იპოთეკარის სახლები და დააკმაყოფილა ისინი გეგმავს არსებულ პროექტში უმნიშვნელო ცვლილებას, ანუ სართულების რაოდენობა დარჩა უცვლელი და იმ ზოლში არსებული სამშენებლო კოეფიციენტის შესაბამისად მოხდა სართულების სიმაღლის გაზრდა 44 მეტრიდან გაიზარდა 46 მეტრამდე, ანუ თუკი მანამდე პროექტით იყო გათვალისწინებული სართულის სიმაღლე 3 მეტრი ეხლანდელი ცვლილებით გახდება 3,20 მეტრი. ამასთან იცვლება ვიზუალური იერსახეც.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია დადგენილება N32

(დადგენილება თან ერთვის)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 დეკემბრის N114-11422346162 მომართვა - ქალაქ ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N285-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N20.42.01.153) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხება ყოფილი ინტურისტების ტერიტორიას, რომელიც იქნება სავიზიტო ბარათი, რომელიც იქნება სამი 40 სართულიანი ძირითადი კორპუსისგან. ეს არის კონცეფციალური პროექტი,

შენობის კონცეფცია იქნება სამი 40 სართულიანი შენობა, რომელსაც ექნება ერთი შენობის ძირი, რომელიც იქნება სამ სართულიანი სხვადასხვა ფუნქციით დანარჩენი იქნება აპარტოტელები და სასტუმროები.

საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოლოდინი იყო, რომ იქნებოდა განსხვავებული და სავიზიტო, მრავალფუნქციური ობიექტის პროექტი გაზრდის და შეცვლის ქობულეთს ტურისტული თვალსაზრისით, როგორც ვიზუალურად ასევე შინაარსობრივად. ქობულეთი ოთხივე სეზონზე იქნება ტურისტული ქალაქი. მუნიციპალიტეტის მხრიდან იქნება მხარდაჭერილი.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქობულეთში, დ.აღმაშენებლის გამზირი N285-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N80

(განკარგულება თან ერთვის)

8.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 ნოემბრის N114-11422332161 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29,48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა აჭარის არ მთავრობის თავმჯდომარემ, რომელიც შეეხება ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული ბინა 29,48 კვ.მ აჭარის არ საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

აღნიშნული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29,48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506) შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (მანონი ბერაძე _ 61004021587) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N164-ში მდებარე უძრავ ქონებაში პირველი სადარბაზოს პირველ სართულზე არსებული 29,48 კვ.მ საერთო ფართის ბინა (ს/კ N20.42.05.270.01.506), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N81

(განკარგულება თან ერთვის)

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ნოემბრის N114-11422311139 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ N20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ „ვ.აბაშიძე") - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა ქობულეთში რუსთაველის ქუჩა N160-ში მცხოვრებმა მოქალაქე ვახტანგ აბაშიძემ, რომლითაც ითხოვა ქობულეთში მ. აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ 226,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 2 (ორი) წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას, მრავალპროფილური ობიექტის განთავსების მიზნით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს|კ 20.42.08.500) 226,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მერზე თანხმობის მიცემა 1 წლის ვადით, ხოლო წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 2260 (ორიათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 წევრი.

მიღებულია განკარგულება N82

(განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი
ს/კ 247001390

დ.მჭედლიშვილი